



დაბერება საქართველოში

ლამარა მამალაძე, 67 წლის, ჩოხატაური

უფალმა დააწესა, რომ ადამიანი მოევიდნოს ქვეყანას, გაიზარდოს, ჩამოყალიბდეს პიროვნებად, შექმნას ოჯახი, გამოადგეს საზოგადოებას, ქვეყანას და ცხოვრებასთან ჭიდილში განვლოს რთული, მაგრამ მნიშვნელოვანი გზა.

საერთოდ ძნელია ამ ეტაპის გავლა. ადამიანს ცხოვრების მანძილზე ბევრი წინააღმდეგობა, დაბრკოლება ხვდება, რომლის გადალახვა მტკიცე ნებისყოფასა და დიდ ძალისხმევას მოითხოვს. რა თქმა უნდა ადამიანს ამ პერიოდში სიხარულიც შეხვდება და წარმატებებიც. როცა ახალგაზრდა ხარ, არავის ეშინია რადგან

„ახალგაზრდობა არის ჩანჩქერი,
დაუდგრომელი დაუდეგარი
გული გიმღერის მზე შიგ ჩაგცქერის
ახალგაზრდობა სწორედ ეს არის“
(ი.ნონეშვილი)

ახალგაზრდა არ უშინდება სირთულებებს, წინააღმდეგობებს, აქვთ ძალა, ენერჯია, სიხალისე. მოკლედ რომ ვთქვათ, მისი ჰგონია ქვეყანა. მაგრამ „ერთხელ მოგივა ახალგაზრდობა, შემდეგ წავა და არ დაბრუნდება“. რა თქმა უნდა არ დაბრუნდება, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მოვა სიბერე, მოიტანს დარდს, ავადმყოფობას, ტკივილს, შეუძლებლობას. დაიწყება შფოთვა. ფიქრი იმაზე რა იქნება, ხვალ, რა იქნება ზეგ, რა იქნება წლების შემდეგ... დაიწყება უიმედობის ხანა.

დაბერება ყველა ქვეყანაში მტკივნეულია, მითუმეტეს საქართველოში. ჩვენთან სიბერე სიკვდილის მოახლოებას ნიშნავს, ზოგჯერ სიკვდილსაც კი. უიმედობას იწვევს ასაკი, მარტოდ ყოფნა, ავადმყოფობა. ყველასათვის ცნობილია, რომ სოფლებში და ქალაქებში მოხუცები, ხანდაზმულები, ასაკოვანი ადამიანები მარტო რჩებიან. სოფლებში, განსხვავებით ქალაქებისა, უფრო თბილი, გვერდში მდგომი ხალხი ცხოვრობს. ისინი უფრო ახლოს იცნობენ ერთმანეთს, ზრუნავენ ერთურთზე, ასაკოვან ადამიანებზე, მარტოხელებზე, გაჭირვებულებზე. ქალაქში უამრავი ხალხი ცხოვრობს, მაგრამ ისინი ჩაკეტილი არიან, თავიანთ დარდსა და ნაღველს თავიანთ გულში იკლავენ. ისმება კითხვა, რატომ დარჩნენ ასაკოვანი ადამიანები და მოხუცები მარტო? პასუხი ერთია, სოფლებიდან ოჯახის წევრები წავიდნენ ქალაქებში, რადგან სოფლებში არავითარი გზა არ არსებობდა მატერიალურად წელგამართულობისა, ხოლო ქალაქებიდან

უმეტესობა საზღვარგარეთის ქვეყნებში გაემგზავრნენ. ისინი გზის ფულს სესხულობდნენ, რომ როგორმე ჩაეღწიათ მათთვის სასურველ ქვეყნებში, ემუშავათ, ეხადათ ვალი და ერჩინათ ოჯახები. ზოგმა მათგანმა ხელი მოითხო, მაგრამ უმეტესობას არ გაუმართლა. უმცირესი თანხის მოსაპოვებლად ურთულეს მდგომარეობაში ჩავარდნენ. ეს ხალხი უმუშევრობამ, გაჭირვებამ, უსახსრობამ წაიყვანა შორს, საქართველოდან. მოწყდნენ ოჯახებს, დარჩნენ მარტო მოხუცები და ხანდაზმულები ოჯახებში უიმედოდ, ღვთის ანაბარა...

მეც მესტუმრა სიბერე, თუმცა ნელ-ნელა შემაჩვია თავი. ამჟამად ვარ 66 წლის, თუმცა ფარხმალი არ დამიყრია. ვმუშაობ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხევის საჯარო სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად. ცხოვრების მანძილზე ბევრი წინააღმდეგობა შემხვედრია, ბევრი სიძნელე გადამილახავს, გული ბევრჯერ მტკენია, მაგრამ არ დავცემულვარ. თუმცა უმეტეს შემთხვევაში სიხარულიც მქონია და წარმატებებიც. სწორედ პენსიის ასაკში, 60 წლისას გავხდი პრეზიდენტის სტეპედიანდი. 2013 წელს გავიმარჯვე პროექტში „ჩემი კუთხის გმირი“. ეს რა თქმა უნდა, წლების განმავლობაში მუხლჩაუხრელი შრომის შედეგი იყო, როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მე დიდ პატივს ვცემ ყველას. ქალი იქნება თუ კაცი, დიდი თუ პატარა. განსაკუთრებით დიდი პატივისცემით ვარ განსმკვალული ჩემზე უფრო დიდი ასაკის, ხანდაზმულების, მოხუცების მიმართ და დიდ ყურადღებას ვაქცევ მათ, რადგანაც მეც მყავდა მოხუცი დედ-მამა. ისინი 85 წლის იყვნენ, როდესაც წავიდნენ ამ ქვეყნიდან. მე ვარ ბედნიერი იმით, რომ წილად მხვდა ხანდაზმულობის დროს მათთან ყოფნისა. ვუვლიდი ისე როგორც მათ ეკადრებოდა და მე შემშვენოდა. მახსოვს, როგორ უჭირდათ ასაკთან შეგუება, როგორ დარდობდნენ იმაზე, თუ რა უცებ გაფრინდა ამდენი ხანი. ცხრა შვილი გაგვზარდა ჩემმა დედ-მამამ. თავიდანვე, პატარობიდანვე გვინერგავდა შვილებს განსაკუთრებული ყურადღებიანი ვყოფილიყავით, მოხუცების, ასაკოვანი და ხანდაზმული ადამიანებისადმი. ვყოფილიყავით მზრუნველნი, შეგვძლებოდა მათი თვალთახედვიდან დაგვენახა მათივე გასაჭირი, წარმოგვედგინა ჩვენი თავი მათ ადგილას. სწორედ ჩემი მშობლების დამსახურებაა ის, რაც ჩემში კარგია. ამას თავის საქებად კი არ ვამბობ, არამედ იმიტომ, რომ მშობლებზეც არის დამოკიდებული, თუ როგორი სიბერე ექნება მათ. „მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამ არ უშველა“ ამბობდა აკაკი წერეთელი. ურჩი და დაუჯერებელი ბევრი არ გამოერევა და თუ იქნება, ისინი დროთა განმავლობაში დაკვირვების შედეგად მიხვდებიან, თუ რა არის კარგი ქმედება და როგორ გამოადგნენ იმ ადამიანებს რომლებსაც ეს აუცილებლად სჭირდებათ.

ჩემი აზრით ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი თავიანთი საქმეებით არიან დაკავებული. მათ არ უჭირთ, ჰყავთ შემძლე და მზრუნველი მშობლები და ჰკონიათ, რომ როგორც ისინი არიან უზრუნველყოფილი, ისე არიან სხვებიც. არა და, სულ სხვა მდგომარეობაა. ისინი რეალობას თვალს არ უსწორებენ. ახალგაზრდები რომ თავიანთი საქმეებით არიან დაკავებულნი ეს

კარგია, მაგრამ სასიკეთო საქმეებიც უნდა აკეთონ სხვისთვის. მე ვურჩევდი ახალგაზრდებს, ახალ თაობას, რომ იყვნენ ყურადღებიანი, მზრუნველნი, განახორციელონ სხვადასხვა პროექტები ასაკოვანი, ხანდაზმულების სასარგებლოდ. არ დაივიწყონ მარტოხელები და ღრმად მოხუცები. თუნდაც იმედის მიცემით, თბილი მოპყრობით გამოხატონ მხარდაჭერა, აღრიცხონ ასეთი ადამიანები, ესტუმრონ ოჯახებში, პატივი სცენ მათ შესაძლებლობის მიხედვით, გაულამაზონ თუნდაც ერთი დღე, მისცენ იმედი და აღუქვან მათ დახმარება. ეწვიონ მოხუცთა თავშესაფრებს, სათნოების სახლებს, გამოთქვან სურვილი მათი ყოველანაირი დახმარებისათვის. ამით ისინი თავიანთსავე სიბერეს გაიადვილებენ შემდეგში.

მე რამდენიმე წელია მოსწავლეებთან ერთად ვგეგმავ და ვახორციელებ სხვადასხვა სახის პროექტებს, ასაკ-მიტანებულ, მოხუცებისა და ხანდაზმულების სასარგებლოდ. მაგ. „არ დაგტოვებთ მარტო,“ „გქონდეთ ჩვენი იმედი“, „მრავალ ახალ წელს“, „ ბევრჯერ შევხვდებით გაზაფხულს“ და სხვები.

გეგმის მიხედვით მოსწავლეებთან ვმუშაობდი საკითხების გადაწყვეტაში. შეგროვილი მონაცემების მიხედვით მოსწავლეები აწარმოებდნენ დაკვირვებებს. რა თქმა უნდა, განსაკუთრებით დაამახსოვრდათ ბავშვებს ჩვენი პროექტის „არ დაგტოვებთ მარტო“ და აქცია „ბარათები დედებს“. არ შემიძლა გავიხსენო ერთი ეპიზოდი: როდესაც ერთ-ერთ ქალბატონს ვეწვიეთ, გაუკვირდა და გვკითხა: მშვიდობა ხომ არის?- როგორ არა ბებო, თქვენ სანახავად მოვედით.-უპასუხეს ბავშვებმა. თითქმის ორი საათი ვიყავით მოხუცთან, რომელიც იმ პერიოდში მარტო დაგვხვდა. როცა წამოსვლა დავაპირეთ, მან კარის ზღრუბლამდე გამოგვაცილა, თუმცა იქამდე მისვლა ძალიან გაუჭირდა. ჩვენ მის თვალეში ცრემლი შევნიშნეთ და შევწუხდით. მან შეგვამჩნია და ეს გვითხრა- „ნუ წუხდებით შვილო ეს სიცოცხლის ცრემლებია“. ჩვენ ამის შემდეგ გულდამშვიდებული წამოვედით სახლში.

ასეთივე შემთხვევა გვქონდა აქციის „ბარათები დედებს“ - ჩატარების დროსაც. მოსწავლეებმა, შეოქმედებითმა ჯგუფმა თვითონვე დაამზადეს მისალოცი ბარათები, ლამაზად და კობტად გაფორმებული, თან დავაყოლეთ პატარ-პატარა საჩუქრები. ძალიან გაიხარეს. მათი გახარებული სახეები არასდროს დამავიწყდება.

ასეთი და მსგავსი აქციები ბევრი ჩავგიტარებია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. გასულ წლებთან შედარებით, წელს 2014 წლიდან თანდათანობით უმჯობესდება სახელმწიფოს ძალისხმევა ამ კატეგორიის ადამიანებისადმი. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. საჭიროა სახელმწიფომ და მთავრობამ მეტი გულისხმიერებით მოეკიდონ ამ საქმეს.

სიბერე არის გარდაუვალი - ის ყველა ჩვენთგანს ესტუმრება., მაგრამ სტუმარი მალე წავა, სიბერე არსად წავა. თანდათან გრძელდება და ბოლოს მის როლს შეასრულებს რის შედეგადაც ისინი წავლენ სამუდამო სამყოფელში. ნათქვამია „ გაუმარჯოს თუ სიკვდილი დროულია,

ხეთათვის ხომ საჭიროა ფოტოლაცვენა“. მაგრამ დროული სიკვდილით იხოცებიან ადამიანები ჩვენს ქვეყანაში? დროული სიკვდილი უნდა იყოს როგორმე ადამიანებისათვის „გაადვილებული“. ამიტომ ადამიანებს დროულ სიკვდილამდე სახელმწიფოს ბევრი რამ შეუძლია გააკეთოს ამ მიმართულებით. ჩემი აზრით ა) საქართველოში უნდა გაჩნდეს სამუშაო ადგილები, რადგან შეძლონ ოჯახის რჩენა და განსაკუთრებული ზრუნვა ამ კატეგორიის ადამიანებისადმი.

ბ) საპენსიო ასაკი დავიდეს ქალებისათვის 55 წლამდე, ხოლო მამაკაცებისათვის 60 წელი.

გ) მინიმალური პენსია გახდეს 300 ლარი.

დ) ამის შემდეგ მინიმალურს დაემატოს დამსახურების თანხა.

ე) წელიწადში სულ მცირე ერთხელ, მაინც დაურიგდეთ საგზურები დასასვენებლად.

ვ) ხშირად მოხდეს ამ ადამიანებთან შეხვედრა, მოიწვიონ საზეიმო ღონისძიებებზე, მათი ღვაწლის გახსენების საპატივცემულოდ.

ჩამოთვლა ძალიან ბევრი შეიძლება, მაგრამ თანდათანობითი წინსვლით მიიღწევა ამ პრობლემების მოგვარება. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი მთავრობა ამას შეძლებს და ცხოვრება ამ ადამიანებს გაუხდებათ უფრო დამღევადი, დარდს მზრუნველობა და პატივისცემა შეცვლის.

პირველ რიგში მინდა ვუსურვო კარგი სიბერე საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს. ასევე მთელი მსოფლიოს ხალხი მინდა იყოს ჯანმრთელი, წარმატებული და დღეგრძელი.

მე მწამს ის, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

Getting Old in Georgia

Lamara Mamaladze, 67, Chokhatauri

God made man so that he is born, grows up, marries, serves society and his country, and has a difficult but interesting journey to the end of his life.

Going through all of these stages of life can be difficult - life is full of challenges and obstacles and you need a strong will and great fortitude to overcome them. Man will certainly have happiness and success in his life. When you are young, nothing scares you. Youth is like a waterfall that can't be stopped, that is full of songs and sunlight, as the Georgian poet Joseb Noneshvili said in one of his poems.

Young people are not afraid of difficulties or obstacles; they have strength, energy and resilience. They think the whole country is theirs. But youth comes only once, then goes and never comes back. Yes, it will never come back and one day old age will come, bringing sorrow, sickness, pain and disability. It brings a lot of concern and thoughts about what will happen tomorrow, the day after tomorrow, after a couple of years... A hopeless period will start.

Getting old is difficult in all countries and Georgia is not an exception. In Georgia, it is considered that old age brings death closer and sometimes it means death. Hopelessness is caused by old age, with loneliness and sickness. Everybody knows that old people in cities and villages are alone. In villages people are more compassionate and reliable than in cities. They know each other better, take care of each other, old people, single people and those in need. A lot of people live in cities but they are less sociable and keep their concerns and grief to themselves. So why are old people alone? There is only one answer: family members moved to cities as it was almost impossible to make a living in villages; those who lived in cities went abroad. Those who left Georgia had to borrow money to buy travel tickets to their destination, in the hope of finding a job in their new homeland, paying off their debt and supporting their families. Some of them managed to get settled but most of them had no luck and found themselves in extremely difficult situations just to earn a bit of money. Unemployment, hardship and homelessness took these people far from Georgia. They had to leave their families and their elderly relatives behind, leaving old people alone without any hope but God...

Old age has come to me as well but, little by little, I have got used to it. I am 66-years-old and I am still active. I have been working at the Khevi public school (Chokhatauri municipality) as a teacher. I have faced a lot of challenges in my life and had to overcome many difficulties. My heart has been broken many times but I have never given up. I have also had a lot of happiness and success. At the age of 60, when I became a pensioner, I became the President's scholarship holder. In 2013, I was a winner of the project 'Hero of My Region'. This is a result of many years of hard work. I respect everybody, whether man or woman, old or young, and especially those who are older than I am. I pay them particular attention as I had an old mother and father. They were 85-years-old when they died. I am happy that I was with them when they were old. I looked after them as they deserved. I remember how difficult it was for them to accept their age and how they regretted that time had flown by so fast. My parents raised nine children. From our childhood we were taught to be especially attentive and considerate to old and aged people, to understand their problems and to put ourselves in their shoes. I thank my parents for everything that is good in me. I say this not to praise myself but because it also depends on parents what kind of old age you will have. But, as Akaki Tsereteli said, a good upbringing needs to be supported by the right nature. Children who are disobedient and naughty will later understand what is good and how to help people who need their care.

In my opinion, most young people are occupied with their own business. They do not have any financial problems and are supported by their parents and think that others are doing as well as they do. But the current situation is very different and they do not face the truth. It is good that young people are busy but they

should do good deeds for others as well. I would recommend young people, the new generation, to be attentive and caring and to be involved in projects that benefit old people. It may be just giving them hope, offering kind words, recognising their situation, visiting them, making them happy even for just one day and helping in other ways. It will be great if they can visit old people's homes and similar institutions and be willing to help. They would ease their own passage into old age in this way.

I have been planning and implementing different types of projects for old people, together with my pupils, such as 'We Won't Leave You Alone', 'Have Our Hope', 'Many New Years' and 'We Will Have Many Springs'.

We work together as a team to fix many issues according to the developed plan. The pupils make observations based on the information that has been gathered. My pupils especially remember the project 'We Won't Leave You Alone' and the event 'Cards for Mothers'. I particularly remember one time when we visited an old woman, how surprised she was and asked us if everything was OK. The children said that they came simply to visit her. We were there for almost two hours with this woman, who was alone at home. She saw us off at the door though it was difficult for her to get there. We were concerned when we saw tears in her eyes. She saw this and said not to be worried as these were tears of being alive. We went home feeling content.

We had a similar case during our event 'Cards for Mothers'. The pupils and the creative team made greeting cards themselves. These cards were nicely decorated and, in addition to the cards, some small presents were also given. They were very happy and I will never forget their smiling faces.

We have carried out many such events but this is not enough. Compared to recent years, the situation changed in terms of state support in 2014 but this is not sufficient. It is necessary for the government to put more effort in to this area.

Old age is inevitable - everybody will be visited by old age but unlike other guests it won't leave. It continues and finally completes its task and old people will pass away. There is a saying about greeting death if it's timely but does that happen in our country? A timely death should be somehow eased for people and the state can do a lot to help this. In my opinion,

- a) It is necessary to create jobs in Georgia, so that it will be possible to support families and provide special care for older people;
- b) The pensionable age for women should be 55 years and for men 60;
- c) A minimum pension should be GEL 300;
- d) In addition to the minimum pension, an allowance should be paid to old people;
- e) At least once a year, pensioners should be provided with a sanatorium voucher;
- f) It would be good if older people are visited often and invited to different events to remember their contributions.

A lot of other things could be included in this list. Problems can be solved gradually. I hope that our government will be able to do this, to make the lives of elderly people more bearable, replacing their concerns with care and respect.

I would like to wish a good old age to everybody living in Georgia. I would also like everyone in the world to be healthy, successful and long-living.

I believe that everything will be well.

